



## სარჩევი



რა არის ახალი .....	2
ხელშეკრულებების ექსელიდან ჩატვირთვის გამართივება .....	2
ზოგადი აღწერა .....	2
კონტრაგენტების ჩატვირთვა .....	2
ხელშეკრულებების ჩატვირთვა.....	2



გასწორებული შეცდომები.....	3
----------------------------	---



სხვა მოდიფიკაციები .....	3
--------------------------	---

## ბალანსის რელიზი\_1.3.2.4



20.10.2022



რა არის ახალი


### ხელშეკრულებების ექსელიდან ჩატვირთვის გამარტივება

#### ზოგადი აღწერა

ბალანსში გამარტივდა კონტრაგენტების ხელშეკრულებების ექსელიდან ჩატვირთვის პროცესი. ცვლილება ეხება როგორც მომწოდებლის, ასევე მყიდველის ხელშეკრულებებს. აღარ არის საჭირო კონტრაგენტების და ხელშეკრულებების ცალ-ცალკე შეტვირთვა და შემდეგ ძირითადი ხელშეკრულების მექანიკურად დაყენება.

#### კონტრაგენტების ჩატვირთვა

მყიდველებისა და მომწოდებლების ექსელიდან ჩატვირთვის დროს ახლა უკვე შესაძლებელია ხელშეკრულებების ავტომატური შექმნა და ძირითადად დაყენება. კონტრაგენტის ჩატვირთვისას თუ ექსელის ფაილში შევსებულია „ძირითადი ხელშეკრულების“ ველი და ბაზაში არ მოიძებნა მითითებული ხელშეკრულება, მონაცემების ჩატვირთვის დროს პროგრამას შეუძლია აღნიშნული ხელშეკრულების ავტომატურად შექმნა. ამისათვის ჩატვირთვის დროს დაჭერის შემდეგ გამოვა



შეტყობინება:

თანხმობის შემთხვევაში კონტრაგენტთან ერთად მითითებული დასახელებით შეიქმნება ხელშეკრულება და დაყენდება ძირითად ხელშეკრულებად. ხელშეკრულების მონაცემები შეივსება კონტრაგენტზე ცხრილში შევსებული ინფორმაციიდან. უარყოფის შემთხვევაში ბაზაში დამატება სტანდარტული ძირითადი ხელშეკრულება.

#### ხელშეკრულებების ჩატვირთვა

მყიდველისა და მომწოდებლების ხელშეკრულებების ექსელიდან ჩატვირთვის შაბლონში დამატა ახალი სვეტი, „ძირითადი ხელშეკრულება“. ხელშეკრულების მონაცემებთან ერთად, თუ ექსელში აღნიშნულ სვეტში შეივსება „დიახ“, ბაზაში დამატებული ხელშეკრულება დაყენდება



კონტრაგენტის ძირითად ხელშეკრულებად. თუ ექსელიდან ჩატვირთვის აწყობებში ხელშეკრულებაზე მონიშნულია ძიების ველი, შესაძლებელია ბაზაში დამატებული ხელშეკრულებისთვის ძირითადი სტატუსის მინიჭება.

კონტრაგენტზე ძირითადი ხელშეკრულების მითითება გათვალისწინებულია ხელშეკრულების ვებ-სერვისებით შექმნის დროსაც.

## გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ბედნადების საბეჭდ ფორმაში ავანსის კურსის გათვალისწინების ხარვეზი
- გასწორებულია კომპლექტაციის დოკუმენტის გატარების ხარვეზი
- გასწორებულია მყიდველის შეკვეთაში რეზერვის შევსებისას ძველი შეკვეთების რეზერვის გათვალისწინების ხარვეზი
- გასწორებულია გაყიდვები კონპენსაციის გარეშე რეპორტში დღგს გამოტანის ხარვეზი

## სხვა მოდიფიკაციები

- შესაძლებელი გახდა რეალიზაციის კორექტირების გაცვლა ვებ-სერვისებით

